ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4249578

ნომერი: AR1630130

თარიღი : 12.09.2018

გაცემის თარიღი : 05.11.2018

გაცნობის თარიღი : 05.11.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , კვარტალი 1 , კორპუსი 6ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ მაისურაძე პ/ნ 01030043216
- თბილისი ო.ქინქლაძის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება

  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

წარმოდგენილ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს #QN638272 გადაწყვეტილების დანართი #1-ში, გამოყენებული ტერიტორიის ფართობია 3,4 კვ. მ. ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, საკადასტრო საზღვრის გარეთ, საპროექტო სამუშაოებით გათვალისწინებული მონაკვეთის ფართობია 3,65 კვ.მ.

01.11.2018 წლის №4244858 გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ საპროექტო სამუშაოები არ უნდა აღემატებოდეს დანართი #1-ში მითითებულ ფართობს. ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზი, წარმოდგენილი განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.